



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10188

17/10/2017

10188-09-2-201710171456



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების

ცენტრის პროგრამის კოორდინატორს

ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსულ თქვენს #3-81 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ:

- არაკრიტიკული შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე შემდეგ ბმულზე: <http://nfa.gov.ge/ge/inspeqtirebis-shedegebi/tvis-angarishebi>;
- “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობას ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ნიშნებით.“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა.“

განვიმარტავთ, რომ სწორედ ამ მიზეზით არ იყო მითითებული 2017 წლის ივნის-აგვისტოს შედეგების გამოქვეყნებისას ზოგიერთი ბიზნესოპერატორის (ი.მ) მისამართი.

- რაც შეეხება მოსახლეობის ინფორმირებას გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ (თვის ანგარიშები), რაც მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ქვეყნდება.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი